# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 521

19 ნოემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 13 ოქტომბრის №21.1425.1590 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ახვლედიანი

დანართი N1

ქალაქი თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5 (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: 01.12.14.095.020)

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, დაკავებული ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეგი თიგიშვილი | 01019055549 | სარდაფი | 31.66 | 01.12.14.095.020.01.642 |
| 2 | სულიკო ბაქრაძე | 01020016213 | სარდაფი | 46.55 | 01.12.14.095.020.01.641 |